

# ნარჩენების სეპარირების ეფექტურობა და მისი პოპულარიზაციის პიარ სტრატეგია

*იზაბელა ლომიძე*

*ანა კაპანაძე*

*თამარ ნადარეიშვილი*

*ანა აფციაური*

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი

სამაგისტროს ხელმძღვანელი: თორნიკე გურული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

# სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი.....	3
1.კვლევის მეთოდები.....	30
1.1 რაოდენობრივი კვლევა.....	33
1.2თვისობრივი კვლევა.....	41
2. კვლევის შედეგები.....	44
PR კამპანიები.....	45
დასკვნა.....	52
დანართები.....	54
ბიბლიოგრაფია.....	65
ბიუჯეტი.....	ობ. EXCEL

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი „ნარჩენების სეპარირების ეფექტურობა და მისი პოპულარიზაციის PR სტრატეგია“ წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების რვა თვიან სამოქმედო გეგმას. ნაშრომის მიზანია საზოგადოებას დავანახოთ ის დადებითი ფაქტორები, რა სარგებელიც მოაქვს ნარჩენების სეპარაციას; მოვუწოდოთ მათ იზრუნონ გარემოზე და გახდნენ სოციალურად პასუხისმგებელი.

ჩვენი კვლევის მიზანია, საზოგადოების ინფორმირებულობის დონისა და მათი მზაობის დადგენა ნარჩენების დახარისხებასთან დაკავშირებით; ასევე იმის განსაზღვრა თუ რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი და რა წინააღმდეგობები წამოიჭრას სეპარირების დანერგვასთან დაკავშირებით საქართველოში.

აღნიშნულ ნაშრომში საჭირო კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა როგორც თვისებრივი (ფოკუს ჯგუფი; ინტერვიუ), ისე რაოდენობრივი (კითხვარი) კვლევის მეთოდები. კვლევის შედეგად დავადგინეთ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე. ასევე, კვლევამ ცხადყო ყველა ის ფაქტორი, რამაც, შესაძლებელია, ხელი შეუწყოს ან დააბრკოლოს ნარჩენების სეპარირება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შევქმენით PR სტრატეგია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა და იმ უარყოფითი ფაქტორების დაძლევა, რაც ხელს შეუშლის ამ პროცესის განვითარებას.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, შედგება: შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. შესავალი მოიცავს ინფორმაციას სეპარირებაზე (თუ რას გულისხმობს); მის მნიშვნელობასა და დადებით მხარეებს; პრობლემის აქტუალობას; არსებული სიტუაციის ანალიზს; კანონმდებლობას საქართველოში სეპარაციის კუთხით; პროექტის მიზნებს. ძირითადი ნაწილი დავყავით ორ ქვეთავად. პირველი ესაა კვლევის ნაწილი, სადაც საუბარია კვლევის მეთოდოლოგიაზე; ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზზე. ხოლო მეორე ქვეთავში განხილულია PR სტრატეგია (სამოქმედო გეგმა), რომელიც დაგეგმარება მთავარი მიზნის მიღწევაში. ასევე რისკები, რომლებიც შეიძლება მათ განხორციელებას ახლდეს თან. ბოლო ნაწილი კი არის დასკვნა, სადაც შეჯამების სახით გვაქვს წარმოდგენილი პროექტის საკვანძო საკითხები.